პროფესორი **გაიანე სიმონია,**
გერიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ასოცირებული პროფესორი
ირინე ანდრონიკაშვილი

კლინიკური გერიატრიის მიმართულება ჩამოყალიბდა 2009 წელს თერაპიის დეპარტამენტში სინდრომული დიაგნოსტიკის დეპარტამენტის ფარგლებში; 2015 წლიდან თერაპიის დეპარტამენტის სინდრომული დიაგნოსტიკის მიმართულებას ეწოდა შინაგანი დაავადებებათა N3 დეპარტამენტი, ხოლო გერიატრიის მიმართულება კი გამოეყო დამოუკიდებელ დეპარტამენტად. აღსანიშნავია, რომ გერიატრიის სწავლება საქართველოში პირველად დაიწყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, რასაც ხელი შეუწყო ევროკომისიის მიერ დაფინანსებულმა პროექტმა "დიპლომამდელი სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროკავშირის აღმოსავლეთ მოსაზღვრე ქვეყნებში".

გერიატრიის დეპარტამენტი

გერიატრიის დეპატამენტი წარმოდგენილია ორი თანამშრომლით: მიმართულების ხელმძღვანელი პროფესორი გაიანე სიმონია და ასოცირებული პროფესორი - ირინე ანდრონიკაშვილი.

2015 წლიდან შინაგანი დაავადებებათა N3 დეპარტამენტი და გერიატრიის დეპარტამენტი წარმართავენ სასწავლო პროცესს ინტეგრირებული სილაბუსის „შინაგანი დაავადებათა მართვა და გერიატრია“ საფუძველზე, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია უნივერსიტეტის კურიკულუმის მოდერნიზაციაში - ინტეგრირებული სასწავლო პროგრამის შემუშავებაში.

დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად არიან დაკავებული კლინიკური, პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობით, მათი მონაწილეობით შეიქმნა მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები, რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ აქტუალობას: “შინაგანი სნეულებები” (2000 წ. რედ. ნ.ტატიშვილი, გ.სიმონია), „ კლინიკური გერიატრია“ (2001 წ. - გ.სიმონია და ი.ანდრონიკაშვილი) - პირველი გერიატრიის სახელმძღვანელო საქართველოში, „კლინიკური გერიატრიის საფუძვლები“ (2014 წ. - გ.სიმონია და ი.ანდრონიკაშვილი), მათ გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო გამოცემებში. დეპარტამენტების თანამშრომლები მონაწილეობას ღებულობენ საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში, სარეზიდენტო პროგრამების განხორციელებაში. გაიანე სიმონიამ და ირინე ანდრონიკაშვილმა მოიპოვეს საგრანტო დაფინანსებები (როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო) და წარმატებით განახორციელეს რამდენიმე სამეცნიერო პროექტი, დაფინანსებული საერთაშორისო და ეროვნული სამეცნიერო ფონდებით.

დეპარტამენტის თანამშრომლების ხელმძღვანელობით შესრულებულია და სრულდება სადოქტორო პროგრამები.

2017 წელს გ.სიმონიამ და ი.ანდრონიკაშვილმა დააფუძნეს საქრთველოს გერონტოლოგიის და გერიატრიის საზოგადოება.